13.02.2023 წ.

ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კმ, ს/კ # 01.72.14.009.616 ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანის მე-14 კმ, ს/კ 01.72.14.009.616 საცხოვრებელი სახლი 12 სართულიანია 1 მიწისქვეშა სართულით.

მშენებარე შენობას ჩრდილოთის მხრიდან დაახლოებით 6 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.72.14.009.614, სამხრეთის მხარეს დაახლოებით 3 მეტრის მანძილზე ესაზღვრება სამანქანო გზა, დასავლეთის მხარეს დაახლოებით 14 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 2 სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.72.14.013.610, აღმოსავლეთით 100 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლი მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.72.14.039.418

საცხოვრებელი შენობის გეგმარებითი პარამეტრები:
კონსტრუქციული პოექტის მიხედვით ასაშენებელი შენობა ღერძებში არის **57.745 X 79.800 მ**; მაქსიმაური მალი შეადგენს **L=7.87 მ.** შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა, მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით. სართულის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს **H=4.15 მ.** შენობის პირობითი ნიშნული - **±0.00**, პირობითი ნიშნულის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნული **+418.50**

შენობის დაფუძნების პირობები: სამშენებლო მოედნის (ს/კ 01.72.14.009.616) გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობა **Ø800** და **Ø600** მმ. ხიმინჯების მეშვეობით ეფუძნება ძირითად ქანს **ფენა-5 -ს R_c=4.0 მპა** რომლებიც იკვრება 1000მმ სისქის საძირკვლის ფილით.

გავლენის შეფასება საპროექტო შენობის ჩრდილოეთ მხარეს ს/კ 01.72.14.009.614 მდებარე მიწის ნაკვეთზე, დასავლეთის მხარეს ს/კ 01.72.14.013.610 მდებარე შენობებისთვის და აღმოსავლეთ მხარეს მდებარე 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლისთვის რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.72.14.039.418 გავლენის შესამცირებელ ღონისძიებად პროექტით გავალისწინებულია შენობის ხიმინჯების მეშვეობით კლდოვან ქანზე დასმა, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს დატვირტვების გადამტანს. რაც შეეხება მშენებარე შენობის სამხრეთ მხარეს მდებარე გზას, ქვაბულის სამუშაოების დაწყებამდე გზის გასწვრივ მოეწყობა ხიმინჯების ფარდა, რომელიც უზრუნველყოფს გზის უსაფრთხო ექსპლუატაციას მშენებლობის პროცესში და მშენებლობის პროცესის დასრულების შემდგომაც.

დასკვნა:

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში და ასევე პროექტით გათვალისწინებული ქვაბულის გამაგრებითი სამუშაოებიდან გამომდინარე ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ უქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს (კერძოდ შემდეგ საკადასტრო კოდებზე მდებარე შენობა ნაგებობები: 01.72.14.009.614, 01.72.14.013.610 და 01.72.14.039.418), როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

ინჟინერ-კონსტრუქტორი: თ. მაცაბერიძე